ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1420048

ნომერი: AR1223791

თარიღი : 10.06.2014

გაცემის თარიღი : 05.08.2014

გაცნობის თარიღი : 06.08.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 06/01/2014წ. #AR1223791 განმეორებითი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 25.03.2014წ. #1187221 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 24.06.2014წ. #1340766 ბრძანებით ზემოაღნიშნულ განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადა დეტალური განმარტებითი ბარათისა და გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების წარმოსადგენად. ამასთან, 0.06.2014 წლის #1356151 გადაწყვეტილებით განმეორებით დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული მაჩვენებლების შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამის განმარტებით ბარათთან ერთად წარმოდგენა.

განმეორებით წარმოდგენილ განაცხადში კვლავ გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ: განცხადებაში მითითებული მაჩვენებლები არ შეესაბამება არც შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს და არც წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილ გეგმებს. ასევე, ექსპლიკაციებში მითითებულია არარსებული ფართები (მაგ.: სახურავის გეგმაზე მითითებულია საზაფხულო ფართი, თუმცა აღნიშნული ფართი სახურავის გეგმაზე არ არის განთავსებული) და არ არის დატანილი კიბის უჯრედის ფართობი. ასევე, საზაფხულო ფართების ჯამი კვლავ არ შეესაბამება განმცხადებლის მიერ მითითებულ მაჩვენებელს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, 24.06.2014წ. #1340766 ბრძანების შესაბამისად, თქვენი 06/01/2014წ. #AR1223791 განცხადება დარჩა განუხილველი.

სამსახურის 25.03.2014წ. #1187221 ბრძანებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით განაცხადის ხელახლა დარეგისტრირებისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში (გაითვალისწინეთ, რომ ახალი განაცხადის დარეგისტრირების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ მხოლოდ შეცვლილი ფართების შესაბამისი გეგმები და მათი შესაბამისი მაჩვენებლები სრულად), სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.